ამ მცირე ჯარში ერთი რაზმი იქცევდა განსაკუთრებულს ყურადღებასა. ეს რაზმი შესდგებოდა მთლად გლეხებისაგან და განირჩეოდა სხვა ჯარისაგან პირველივე შეხედულობით. მაღალი და სწორე ტანი, განიერი მხარ-ბეჭი, მამაცური შეხედულობა, ვაჟ-კაცური მიხერა-მოხერა, ხმა-მაღალი ლაპარაკი, რკინის ჩან-ქანი ტანზე აშკარად ჰედიდნენ, რომ იგინი იყვნენ თავისუფალი მთის შვილები. ყველაზე მეტი იმედი ერეკლესა და ქართველობას ამ გლეხებისა ჰქონდათ. ვინ იყვნენ ეს გლეხები? ისინი იყვნენ არაგვის-პირელნი მთიულნი და ფშავ-ხევსურნი.

ერეკლე მეფე მთელს ქართველობას ღმერთივით უყვარდა. მაგრამ იმოდენა სიყვარულს და თაყვანის-ცემას კი, რასაც მისდამი მთიულნი და ფშავ-ხევსურნი გრძნობდნენ, ვერავინ ვერ დაიკვეხებდა. მთელი მთიულეთი და ფშავ-ხევსურეთი სავსე იყო ერეკლეს დიდებით. აუარებელს საგმირო ლექსებში თავისუფალნი შვილნი მთისანი ხა-ტავდნენ თავისს უსაზღვრო ერთგულობას ერეკლესადმი, თავისს აღტა-ცებას მისი საარაკო სიმამაცით, თავისს ამპარტავნობას იმითი, რომ მათ ჰყავდათ მეფედ ასეთი სახელ-ვანთქმული გმირი. მხურ-



ვალედ მოყვარულნი თავისუფლებისა და დამოუკერდებლობისა, მთიულნი და ფშავ-ხევსურნი სწორედ აღმერთებდნენ ერეკლეს, როგორც დაუძინებელს, უშიშარს და თავდადებულს დამცველს თავისის ერის თავისუფლებისას, დამოუკიდებლობისას. მთელს ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთში ვერ მოსძებნიდი ვაჟკაცს, რომელიც მზად არ ყოფილიყო თავისი სიცოცხლე შეეწირა მეფე ერეკლესათვის.

ამის გამო, მივიდა  
თუ არა ფშავ-ხევსუ-  
რეთში ხმა, რომ სპარ-  
სეთის შაპი აუარებელი  
ჯარით მოდის ერეკ  
ლეზეო, საუკეთესო  
ვაჟ-კაცნი დაუყონებ  
ლივ აღიჭურვნენ, ჩა-  
ჯდნენ იარაღში თა-  
ვით ფეხებამდე; გად-  
მოვიდნენ არაგვის ხე-  
ობაში და მოვიდნენ  
დუშეთში. აქ მათ მი-  
ემატნენ არაგვისპირე-  
ლნი და შესდგა სამა-  
სიანი რაზმი გლეხები-  
სა, რომელიც საჩქა-  
როდ ჩამოიჭრა თბი-  
ლისში.




მეფე ერეკლე მამოპრივი გრძნობით მიეგება მთიდან ჩამოსულს რაზმსა და ჩააყენა მოწინავე ჯარის შუაგულში, რომელსაც გზა უნდა შეეკრა მოახლოებულ სპარსელებისათვის. ამ რაზმის წინა-  
მძღოლად იყო ერეკლეს შვილი ვახტანგი, მაშინდელი მმართველი

მთიულეონისა და ფშავ-ხევსურეთისა. ომის დაწყების წენადაცმული რაზმის მეომართ შეპფიცეს ერთმანეთს მეფის წინაშე: აქურელმა გვილალატა და ვერ დავსძლიერ მტრის ჯარი, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო. ან გამარჯვება მტერზე და ან სიკვდილი ბრძოლის ველზე.

იერიში მტერმა პირველად მოიტანა ერეკლეს შვილს ითანებე, რომლის ჯარს ეჭირა გზის პირად მაღლობი ადგილი, თფილისის სამხრეთით, კრწანისის მინდვრების ვიწროებში. ბევრს მტერს აუტირეს დედა ამ მოწინავე ქართველებმა; მაგრამ თვითონაც ბევრი დაჰკარგეს, და ამის გამო უკან-უკან დაიწყეს წევა. სწორედ ამ დროს მთის ქართველნი გაექანენ ხმალ-ამოლებულნი სპარსელებისაკენ, შეუტიეს და დაუწყეს ჩეხა. სპარსელები შედგნენ და წინ ერთი ნაბიჯიც ვეღარ წამოდგეს. მოწინავე ჩვენს ჯარს ახლა მიეშველა, მეფის ბძანებით, მაჩაბელი თავისი ჯარით. ეს მაჩაბელი მამაცი მეომარიც იყო და ამასთან სახელოვანი მელექს-საზანდარიც. მან მხიარულად დაუკრა ჩონგური, ზედ გულის ასაძგერი ლექსები დამღერა და საოცარი სისწრაფით მიესია სპარსელებს თავისი ჯარით მთის ქართველებთან ერთად. ქართველებმა გააპეს მტრის რაზმები, აქეთ იქით გროვა-გროვა და-აყენეს დახოცილი და დაჭრილი სპარსელებისა და ვაექანენ შეაგულისაკენ, სადაც თვითონ შაპი ეგულებოდათ. მტრის საშინელი მუსკრით მიუახლოვდნენ თვითონ შაპის კარავსა, წარატვეს მის თვალ წინ სპარსელებს ბაირაღები და თვით შაპის დაჭერასაც ლამობდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს ქართველებს წინ გადაედობა საუკეთესო ჯარი სპარსელებისა, რომელიც ამ დრომდე შაპის კარავის უკან იდგა, ომში მონაწილეობას არ იღებდა და დასვენებული იყო.

„მე არ მახსოვს, რომ რომელიმე ჩემი მტერი ასეთი გმირობით შემჩრდოლებოდესო“, წარმოსთქვა შაპშა, როდესაც დაინახა მიახლოვებულნი ქართველნი, რომელნიც მუსრს ავლებდნენ მისს ჯარსა.



სპარსელებს მრავალი ახალ-ახალი ჯარი ემატებოდათ; კართველებს-კი მალე გამოელიათ მისაშველებელი ჯარი. ერთი ქართველი იბრძოდა თოთხმეტ-თხუთმეტი სპარსელის წინააღმდეგ. ქართველთა გამარჯვება ძნელი მოსალოდნელი იყო, რადგანაც ერთი, რაც უნდა დიდი მამაკაბით და თავგანწირულობით იყოს აღჭურვილი, ვერა სძლევს თოთხმეტ-თხუთმეტსა. და ვერც სძლიერს ჩვენებმაცა. ვერა სძლიერს იმიტომაც, რომ მეფე ერეკლე ამ დროს იყო არა უწინდელი ძალ-ლონით სავსე არწივი, არამედ ოთხმოცის წლის მოხუცი. ქართველებმა თავ-განწირულს ბრძოლაში მრავალი მეომარი დაპკარგეს და უკან-უკან დაიწყეს დაწევა. სპარსელები თფილისს თანდათან უახლოვდებოდნენ. ბრძოლამ გასტანა დილიდან ბინდამდინ. საღამოზე სპარსელები მოადგნენ თვით კედლებს თფილისისას. სამჯერ უკუ-აქციეს ქართველებმა მტერი თფილისის გალავნიდან, მაგრამ სამჯერვე მან განაახლა თავისი იერიში.

მწუხარებით შეპყრობილი ოთხმოცის წლის ერეკლე არ აპირებდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა და უნდოდა ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

მხლებლებმა მოახსენეს მეფესა: ყოველმა ქართველმა უწყის შენი საოცარი გულადობა და იცის ისიც, რომ შენ მუდამ წამს მზადა ხარ მამულისათვის თავი დასდო, მაგრამ თუ მუხთალმა ბედმა გვიღალატა, შენი დაღუპვით მაინც ნუღარ გაუსამკეცებ სიხარულს მტერსა და ნუ მოუკლამ გულს შენს მათაყვანებელს ერსა.

მეფე ყურს არავის არ უგდებდა. სპარსელებმა-კი ერეკლეს აქეთ-იქიდან მოუარეს და გარშემო მთებისაკენ მიმავალს გზებს იკერდნენ, რომ ქართველს ჯარს გაქცევა აღარ შესძლებოდა. მაშინ ერეკლე ხმა-ამოუღებლივ გაექანა მტრისაკენ ხმალ-ამოღებული, ეკვეთა მას თავ-განწირულად და უთუოდ დაღუპვა მოელოდა, თუ შვილის შვილს არ დაეხსნა სიკვდილისაგან თავისი სახელოვანი პაპა. სამასი ცხენოსანი ქართველით ბატონიშვილი იოანე შევარდა

მტრის გუნდში, როდესაც ის მეფეს გარს ერტყმოდა, და მოხუცებითია ერეკლე თითქმის ხელიდან გამოსტაცა მათ.



მეფე ერეკლე.

ძალის-ძალად გაიყვანეს ერეკლე ქალაქიდან, გაატარეს ავლაბრის ხიდი და საჩქაროდ გაუყენეს მთიულეთის გზასა. ეჩქარებოდნენ, რადგანაც ფიქრი ჰქონდათ სპარსთა მდევარისა. უცებერეკლემ უკან მოიხედა და თვალი მოჰკრა ცეცხლსა, რომელიც სპარსელებს მოეკიდებინათ თბილისის სამხრეთის ნაწილისათვის.



ერთი საშინლად ამოიკვნესა, სწრაფად მოატრიალური ცენტრი და გამოაქვნა თბილისისაკენ, რათა მტკერს ზედ უძრავი მოძღვა და თავის დედა-ქალაქიან ერთად დამარხულიყო. მაგრამ მხლებელნი მოეწივნენ, უტაცეს ხელი ცხენსა და პირი ისევ მთისაკენ აქცევინეს. ერეკლეს თან ახლდნენ ორმოც-და-ათნი მეომარნი, რომელნიც თავისს სათაყვანო მეფესათვის მზად იყვნენ ლუკმა-ლუკმად აკუ-წულიყვნენ.

ალა-მაჰმად ხანგა დაიპყრა თფილისი.

რა დაემართა ჩვენს მთის გმირებსა? მტკიცელ და სავსებით  
აღასრულეს თავისი მამაცურა ფიცი, თუ ზოგის მათგანის გული  
შედრება გმირულის სიკვდილის წინაშე?

არც ერთს მათგანს ზურგი არ უჩვენებია მტრისათვის, არც ერთს არ მოსვლია ფიქრად თავს ვუშველო გაქცევითო, და არც ერთი მათგანი ცოცხალი არ ჩავარდნია მტერს ხელში. იგინი საოცარი თავგანწირულობით იბრძოდნენ დილიდან ხშირ-ბინდამ-დინ. ყოველი ნაბიჯის წინ გადგმოდგმა მათ მტერს დაუსვეს მე-ტად ძვირად, ბევრი სპარსელი გამოასალმეს სიცოცხლეს და ოვი-თონაც ზედ შეაკვდნენ მათ პირველიდან დაწყებული უკანასკნე-ლამდე.

დიალ, სამასი ვაჟკაცი ერთი და იგივე გმირული სიკვდილით  
გამოქვეყნდა წუთისოფელს ბრძოლის ველზედ, კრწანისის მინდორ-  
ში. ზოგმა მათგანმა თავისი სიცოცხლე დასდო მამულისათვის დი-  
ლით, პირის-პირ სპარსეთის შაჰისა, ზოგი მტერს შეაკვდა დღი-  
სით, როცა იგი მოიწევდა თბილისისაკენ, ხოლო დანარჩენთ თა-  
ვი დასდეს ქვეყნისათვის საღამოთი თფილისის ქუჩებში, სადაც იგინი  
უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოდნენ შემოსეულს სპარსელებსა.

არც ერთი არ გადურჩა სიკვდილს, არც ერთი არ შეიქმნა  
მოწამე თბილისის აოხრებისა, არც ერთმა არ წაიღო მთაში ამ-  
ბავი ქართველების დაძლევისა სპარსელებისაგან, არც ერთი არ  
ჩაუგარდა მტერს ხელში. ყველამ მტკიცედ, საფსებით და ვაჭყაცუ-

რად დაიცვა ფიცი, ყველამ ბრძოლის ველზე დალია გმირული სული, ყველამ თავისს სამშობლოს შესწირა სიცოცხლე.

ამაზედ მეტი სიმამაცედა თავდადებულობა ქვეყნისათვის არც ერთის უცხო ერის შვილებს არ გამოუჩენიათ. ხოლო მსგავსი გმირობა კი ჩაუდენიათ მათაც, რა საკვირველია.

ფრიად შესანიშნავია, რომ სამასის თავდადებულება საგმირო ის-ტორიაში ხშირად იმეორება. დავასახელებთ რამდენსამე მაგალითსა.

ჟველს საბერძნეთში, ქრისტეს დაბადების წინედ, სამასმა სპარ-ტელმა ბერძენმა თავი შეაკლა აუარებელს ჯარს სპარსელებისას ფერმოპილის ვიწროებში. სამასნივე დაიმარხნენ აქვედა მათს საერთო ქეგლზე მაღლობელმა ბერძნებმა ამოსჭრეს შემდევი გულის ასაძგერი სიტყვები: მგზავრო, აუწყე სპარტელებს, რომ ჩვენ ვმართივართ აქ, აღმასრულებელნი მოვალეობისა სამშობლოს წინაშე.“ ჩვენს დროშიაც, ორმოცის წლის წინად, მოხდა ამისთანავე თავდადება სამასი იტალიელისა. ესენი შეუდგნენ სამშობლოს განთავისუფლებასა, მაგრამ მტრის ჯარი შემოერტყა მათ გარსა, და ჟველამ არჩია სახელოვანი სიკვდილი დამორჩილებასა. ეს თავდადებულობა ერთმა იტალიელმა პოეტმა მშვენივრად გამოხატა ერთს თავისს ჩინებულს ლექსში, რომელიც მრავალ ენაზე გადაითარგმნა და რომელიც ქართულს ენაზე რუსულიდან გადმოიღო ოც-და-ათის წლის წინად აწ განსვენებულმა გიორგი წერეთელმა. ეს ლექსი, რომელიც სწორედ ზედ გამოჭრილია თვით ჩვენს გმირს გლეხებზედაც, იუწყება ასე:

ისინი იყვნენ სამასნი, სულ დარჩეულნი ვაჟკაცნი,

ერთიანად დაიხოცნენ ამდენი პირ-მზე მამაცნი.

არც ჩვენის თავდადებულის გლეხების გმირული ღვაწლი დაივიწყა სამშობლომ. ჩვენმა მაღალ-ნიჭიერმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა უკვდავ ჰყო მათი სახელოვანი სიკვდილი შემდეგი მშვენიერი ლექსით, რომელიც შეაღენს საუკეთესო ადგილს მისი სახელოვანი პოემისას: „სადლეგრძელო“. აი ეს ლექსი:



აი სამასნი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი,  
მეფის შეწევნად და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი.

თუ გაგვიწყრება ღმერთი და ვერა გავსდევნეთ მტრის ძალი,  
იყვეს შეოცხვენილ, ვინც ჩვენგან ზინა წავიდეს ცოცხალი.

და გარდიწერეს პირჯვარი, ვაჟ-კაცებრ ხმალი იშვიშლეს,  
და შავარდენებრ მივარდნენ სპარსთა ურიცხვთა სიმრავლეს.

შესძრეს... განფანტეს... მაგრამა ზედ თავიც თვისი დააკლეს.  
ფიცი ვაჟ-კაცთა წმინდა არს... მათაც სიკედილით შემოწმეს.—

თავ-განწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხვედრი.

წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერი!..

და სად დასთხიეს გმირთ სისხლი აწ ვპმზერთ სიმით ბალთ მწვანეთ,  
მუნით მოისმის ლხინის ხმა გულ-უზრუნველთა მოლხინეთ.

და მას წმიდასა ალაგსა, თაყვანსაცემსა ღირსებით,

გლახ-უმეცრება ფეხ-ქვეშე ჰსორგუნაც გულრთა უგრძნობით!

გმირნო, შამულის მაღიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს ჩამომავლობა!

იაკობ გთგება შეიდა..



ფშაველები.

## ტრანსვაალის ომი



იდი ხანია, რაც სამხრეთ აფრიკის მდიდარმა ბუნებამ მჟელი ეყრდნილი ყურადღება მიიქცია. ინგლისელებმა უკვე მეზეიდმეტე საუკუნეში დაარსეს ამ მხარეში ახალშენები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამ ბუნებით მდიდრათ შემკულ ქვეყანაში გარდასახლდნენ პოლანდიელები, რომელნიც პირველ ხანებში ინგლისელების ახალშენებში დასახლკარდნენ. ინგლისელები ახლათ გადმოსახლებულებს, რომლებმაც აფ-





რიკაში „ბურების“ სახელმწოდება მიიღეს, ძრიელ ცუდიანუსამზადა ბოლნენ. ბურების მდგომარეობა დღითი დღე აუტანელი ხდებოდა. ამიტომ მათ დასტოვეს ინგლისელების ახალშენები და დაარსეს ჩრდილოეთით ორი სახელმწიფო ანუ რესპუბლიკა: ტრანსვალისა და ორანჯესი.

ბურების ახალი სამშობლო ბევრათ უფრო მდიდარი გამოდგა ინგლისელების ახალშენებზე. ტრანსვალის მშვენიერი ჰავა, მოხდენილი მდებარეობა, ნოკიერი მიწა, ნაყოფიერი სახნავ-საოცესი ადგილები და მთებში დამარხული უთვალავი ძვირფასი მაღალ-ლობა ინგლისელებს მოსვენებას არ აძლევდნენ. ინგლისის მთავრობა ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობდა ტრანსვალში გაბატონებულიყო და მართლაც ამ მიზნის მისაღწევათ ძრიელ მოხერხებული დრო იგდო ხელთ.

1877 წელს ადგილობრივ ველურ ხალხის, ზულუსების, ომშაბურები მეტათ მოჰქანდა. ინგლისმა რსარგებლა ამ შემთხვევით და ტრანსვალი თავის ახალშენათ აღიარა. ომში დაუძლურების გამო ბურები ამ ძალმომრეობას წინ ვერ აღუდგნენ. მხოლოთ ნიკიერნი, მუყაითნი, მხნე და თავისუფლების მოყვარე ბურები ინგლისელების ბატონობას ადვილათ ვერ შეურიგდებოდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ბურებმა იარაღს მოავლეს ხელი და სასტიკი ომი გამოუცხადეს დაუპატიჟებელ სტუმრებს. მთელი ტრანსვალი, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული, ფეხზე დადგა. ინგლისის ძლიერი ჯარი თითქმის ყველა შეტაკებაში მარცხდებოდა. მცირე ხნის განმავლობაში ბურებმა ერთიანათ განდევნეს ინგლისის მხედრობა ტრანსვალის საზღრებიდან. 1881 წელს ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა ტრანსვალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღეარებინა.

სამწუხაროთ ეს დამოუკიდებულობა დროებითი გამოდგა. გაუმაძლარი ინგლისი ტრანსვალის მთებში ჩაფლულ უთვალავ სიმდიდრეს დიდხანს გულგრილათ ვერ უცქერიდა, იგი მაღულათ

სძებნიდა მიზეზებს, რომ ბურებისათვის ომი აეტეხნა და შეუძლია დაბარებული დრეს დაპატრონებოდა.

მაზეზის გამოძებნა მარცა და მაინც საძნელო არ იყო. ტრანსვაალში ორმოცდა ათი ათასამდე ინგლისელი სცხოვრობს, რომლებიც უმნავრესათ მიღებული მუშაობენ. ლონდონის სოფ-დაგრების შრაგონებით ტრანსვაალში დროებით მცხოვრებ ინგლი-სელებმა ბურების მთავრობას მოსთხოვეს ყველა ის უფლებანი, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთ აქვთ მინიჭებული. ამ არა კა-ნონიერ წინადადებას მხარი დაუჭირა ინგლისის მთავრობამ და ტრანსვაალის საშინაო საქმეებში უსირცხვილოთ ხელის ფათური დაიწყო.

ტრანსვაალის მთავრობამ ბევრი დაუთმო მუშა ინგლისელებს, ბევრი შეღავათის მინიჭება განიზრახა, მაგრამ გაუმაძლარი ინგლისი მაინც არა სჯერდებოდა. ამ საგნის შესახებ მიწერ-მოწერის დროს ცბიერი ინგლისი თავის მხედრობას თან-და-თან აძლიერებდა სამხრეთ აფრიკაში და ომის თაღარიგს იჭერდა. ტრან-სვაალის მთავრობამ შეუტყო ინგლისს ჩუმ ჩუმაობა, იგი რა-კი დარწმუნდა, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნაყოფოა, რომ ინგლისელები განზრახ აფრელებენ საქმეს, რათა უფრო მე-ტი ჯარა მოაგროვონ სამხრეთ აფრიკაში, მაშინვე ბრძანება გასცა ბურებს იარალისათვის მიემართათ და კიდევაც გაჩადდა ომი. ერთი მუჭა ხალხი, რომლის რაოდენობა ნახევარ მილიონს არ აღემატება, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის შეებრძოლა მთელ ევროპაში მხედრობით სახელ განთქმულს ძლიერ ინგლისს.

აგერ სრული ექვსი თვე შესრულდა, რაც სამხრეთ აფრიკაში თოფის სროლა არ შეწყვეტილა. მთელი განათლებული ქვეყნების ყურადღება ბურების თავ-განწირულმა გმირობამ მიიპყრო, დიდი თუ პატარა სულ განაბული შეჰყურებს სისხლით მორწყულ საში-შარ ომის ველს და განკვითრებაში მოდის პაწა სახელმწიფოს თავდადებული შვილების საგმირო საქმეებით. მთელი ტრანსვაალის



მხედრობა ოშიანობის ღრმას 26,000 მეომარს არ აღემატება მიზანის  
შინ როდესაც ძლიერმა ინგლისმა 200,000 მხედარი უკვე გაგზავ-  
ნა ბრძოლის ველზე. ინგლისი დღითი დღე უმატებს ჯარებს და  
ამის შეძლებაცა აქვს, ტრანსვაალი-კი არსაიდან შველას და დახმა-  
რებას არ მოელის. მას სწამს მხელოთ მაღალი ღმერთი და თა-  
ვისი ერთი მუჭა მამაცი მხედრობა, რომლისაგანაც გამოელის სამ-  
შობლოს უთვალავი მტრისაგან გადარჩენას.

ომის დაწყებისთანავე ბურები ინგლისელების ახალშენში-ნა-  
ტალში შევიდნენ. გამოჩენილი ბურების მთავარ-სარდლები უუბე-  
რი, კრონიკ და სხვები შესამჩნევის წინდახედულებით და გამოც-  
დილებით მოქმედებდნენ. მთელი ბურების მხედრობა სამ რაზმათ  
დაანაწილეს. პირველი შეტაკება ნატალში ბურებს ღენერალ უაიტთან  
მოუხდათ. ინგლისელები სამარცხვინოთ ძლეულ იქმნენ და ღენერა-  
ლი უაიტი იძულებული გახდა ლედი-სმიტის სიმაგრეებს ამოფარე-  
ბოდა. ბურები კვალ-და-კვალ გამოუდგნენ ინგლისის მხედრობას  
და ერთიანთ შერეკეს ისინი ქალაქ ლედი-სმიტში, რომელსაც  
მაგრათ ალყა შემოარტყეს. ამნაირათ ღენერალ უაიტის მხედრობას  
მოუსპეს გზა დანარჩენ ინგლისელების ჯართან შეერთებისა. არა  
ნაკლებ წინდახედულათ მოქმედებდა ბურების მხედრობა სამხრე-  
თით და დასავლეთით. აქაც ინგლისელები სამარცხვინოთ დაზა-  
რალდნენ და მათი მხედრობა ორ ქალაქში მეფეებინგსა და კიმბერ-  
ლეიში მოამწყვდიეს.

ინგლისის მხედრობის პირველმა დამარცხებამ დიდი აღელვე-  
ბა გამოიწყია ლონდონში და მთავრობა ფიცხლავ შეუდგა ახა-  
ლი ჯარების გზავნას სამხრეთ აფრიკაში. ახლათ დანიშნულ ჯა-  
რების წინამძლოლ ღენერლებს: ბულლერს, ლორდ-მეტუენს და  
გატაკრს დაევალათ მეფეებინგის, კიმბერლეიის და ლედი-სმიტის გა-  
თვისუფლება და ორანჟეს რესპუბლიკის დედა-ქალაქის ბლუმ-  
ფონტენის დამორჩილება.

ინგლისელების ჯარები ლორდ-მეტუენის მთავარ-სარდლობით



მამაცურათ გაემგზავრნენ კიმბერლეის გასათავისუფლებლად მიჰყოფის ნარე მოდერის ნაპირებზე მეტუენს მოუხდა საშინელი ბრძოლა ბურების მხედრობასთან. ხუთმეტიათასმა ინგლისელმა მეომარმა იქრიში მიიტანა ბურების სიმაგრეებზე, რომელთაც მხოლოდ ცხრა ათასი კაცი იცავდა. მთელი დღე თოვის სროლა არ შეწყვეტილა. ბურების თავგანწირულ გმირობას თვით ინგლისელები განცვიფრებაში მოჰყავდა. ინგლისელები ისე დაზარალდნენ ამ შეტაკებაში, რომ ომის გაგრძელება ველარ გაბედეს და ერთ აღვილას უძრავათ დაბანაკდნენ.

ღენერალ გატაკრის მხედრობას ორანჯეს რესპუბლიკის დედაქალაქი ბლუმფონტენი უნდა დაემორჩილებინა. მხნე ღენერალი უშიშრათ დაიძრა ორანჯეს საზღვრებისაკენ. ბურების გამოცდილმა სარდლებმა გატაკრის მხედრობას გზა მისცეს და იგი უვნებლათ მიიმართებოდა ბლუმფონტენისაკენ. როცა ინგლისის მხედრობაში კარგა ძალი მანძილი განვლო, ბურების ჯარები მოულოდნელათ გარს შემოერტყნენ მეტუენის მხედრობას. ასტყდა საშინელი ომი. რამდენიმე საათის განმავლობაში გადეკრის ძლიერი მხედრობა თითქმის განადგურდა. ბურებმა ორი ათასმდე ინგლისელი ბრძოლის ველზე სასიკვდილოთ დასჭრეს, შვილას კაცამდე ტყვეთ წაიყვანეს და დიდ ძალი სურსათი და საომარი იარაღები ხელთ იგდეს. გატაკრი დაზარალებული მხედრობით უკუ ქცეულ იქმნა.

გატაკრისა და ოორდ-მეტუენზე უფრო ცუდი დღე ღენერალ ბულლერს დაადგა. იგი ერთი კვირის განმავლობაში ჰეთიქ-რობდა ლედი-სმიტის გათავისუფლებას, მაგრამ ბურები ამ დროს სულ სხვა ფრივ ბჭობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ბულლერი უთვალივის ჯარით მდინარე ტუგელს მიადგა. დაიძრა თუ არა ბულლერის მხედრობა ტუგელის გადასავალით, ბურების ზარბაზნებმა და თოვებმა ერთხმათ გრიალი შეჰქნეს. დატრიალდა ჯოჯოხეთის დღე. ბურების სწორეთ ნასროლი ტყვიები შეუბრალებლათ ჰეთიქავლნენ ინგლისელების მეომართ. ბულლერი სამა-



რცხვინოთ დაზარალდა: ათას ორასამდე კაცი მოუკლეს, ლინ ათასამდე დაუჭრეს და ტყვეთ წიგვანეს.

ბულლერის, ლორდ-მეტუენის და გატაკრის დამარცხებამ  
დიდი ოლიაქოთი ასტეხა ინგლისში. მთელი ერთი ღრუბინავდა და  
არ იცოდა როგორ დაეღწია თავი ამ სირცხვილისაგან. ძლევა  
მოსილი ინგლისის მხედრობა სამარცხვინოთ ძლეულ იქმნა ვიღაც  
მწყემსების, უბრალო, მუშების ბურებისაგან.

მთავრობამ საჩქაროთ ბრძოლის ველზე ორი ახალი დივიზია გაგზავნა და სამხრეთ აფრიკის ჯარების მთავარ სარდლოთ ფელდმარშალი რობერტსი დანიშნა და სამხედრო შტაბის უფროსათ სახელგანთქმული კიტჩენერი.


სამხრეთი აფრიკა ფეხათ აივსო ინგლისის მხედრობით. ძლიერი ბრიტანიის სამეფო დღითი დღე გზავნიდა აუარებელ მაშველ ჯარებს. რობერტისი და კიტჩენერი დიდის დაკვირვებით შეუდგნენ საქმეს. ბრძოლის ველს საშინელი დღე მოყლოდა. ორივე რესპუბლიკის, ტრანსვაალის და ორანჟეს, პრეზიდენტები კრიუგერი და შტეინი მამაცურათ ამხნევებდნენ ჯარებს, მაგრამ ერთი მუჭა ხალხი დაიქანცა და ვერას გახდა.

რობერტსის უთვალავმა მხედრობამ გაათავისუფლა კიმბერ-ლეი, ლედი-სმიტი, დაიპურო ორანჯეს რესპუბლიკის დედა-ქალა-ქი ბლუმფონტენი. ბურებმა იმავე დროს დაჰკარგეს დიდ-ძალი მხედრობა და მასთან გამოჩენილი სარდალი კრონიე, რომელიც დატყვევებულ იქმნა რობერტსის მიერ.

ծյրեմն յանասյն լու դամարկեցն ու Շեմայք մուշարտյե օնց-  
լուսն մտացրութիւն, գագայն հայութ հայութ հայութ մուշարտ  
յշրալու և սկսելու ըստ և մշցութանակ համուզագլուխութ.  
օնցլուսն մտացրութիւն է նորդանու յարու ցանաքեալա, ზազու համուզա-  
ծա Շեյսլութ մեռլու ու նորդանու, ու սրուլուած գագանց ծաց-  
ծութ, սրուլուած հայութ հայութ հայութ գաեցիւթ. տապու-  
սութլութ մուզարու ծյրեմն առաջանեմն առ գայտանեմն յան-  
աս նորդանութ.

၁၃၆၂၂၂၂  
၂၀၁၀

ပျော်ရွှေပါး မိုးလွန်ပာ。






მართალია ბურები დამარცხდნენ, მაგრამ სამშობლოს დაკარგვის ფაქტი მათ გულში ჯერ არ გაუტარებით. ორანერებს რესპუბლიკის პრეზიდენტმა სახელმწიფოს დედა-ქალაქით კრონშტადი გახდა. მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე კრიუგერი ტრანსგადალის საზღვრების გამაგრების თადარიგს შევდგა. სატახტო ქალაქის პრეტორიის მანდილოსნებმა პირობა შეჰქრეს, სახელმწიფოს დედა-ქალაქი უკანასკნელ სულის ამოსვლამდის მტრისაგან დავიცვათო. ოქვესმეტ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილებიც-კი შეიარაღდნენ და ბრძოლის ველზე გავიდნენ. მთელ ერს ერთი აზრი, ერთი გრძნობა ასულდებოდა: „ან ერთიანათ გაწყვეტა, ან სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა“.

ბრძოლის ველიდან უკანასკნელათ მოსული ამბები ბურების სასარგებლოთ ღალადებენ.

ვინ ვის დასძლევს, ამის გამოცნობა ჯერ-ჯერობით საძნელოა, ხოლო ყოველ შემთხვევაში ბურების სამშაბლოსათვის თავ-განწირული გმირობა ქვება დადგებით იღინიშნება მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე.

၃. ပုဂ္ဂမဝါစတာဒ္ဒေလီ.





## ჰაერში ფრენა

(ჭარონაგტიკა). \*)

IV.

ოცა პარიზში პროფესორმა შარლმა ჰაეროსტატი აუშვა, საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკ XVI ვერსალში სცხოვრობდა თავის მშვენიერ სასახლეში. მეფე ცნობის მოყვარეობამ ძლიერ გაიტაცა და წამსვე უბძანა დაებარებინათ ძმანი მონგოლფერნი. 1783 წელს 19 ენკენისთვეს მეფის და დიდებულთა თანადასწრებით ვერსალში აუშვეს ჰაერში ბურთი (ჰაეროსტატი), რომელსაც კალათიც მოუბეს. ჰაეროსტატი მართლაც რომ უშველებელი რამ იყო, 33 არშინი სიმაღლე ჰქონდა და 24 არშინი სიგანე, კალათაში საცდელათ ჩასხეს ცხვარი, იხვი და მამალი; ასე რომ პირველათ ვერსალში მოხდა ცხოველთა ჰაერში მოგზაურობა. ყველანი დიდის ყურადღებით და გაფაციცებით შესცემოდნენ ცას. ჰაეროსტატით მოგზაურნი სამასი საჯენის სიმაღლეზე ავიდნენ ჰაერში და ათი წამის შემდეგ ბურთი წყნარათ დაუშვა დედამიწაზე, ვერსალიდან ერთი ვერსის მოშორებით, თუმცა ხეხილის ტოტებს მოედო, მაგრამ არავითარი ზარალი არ მისცემია. მეველებმა წამსვე მიირბინეს ჰაეროსტატის სანახავათ და მგზავრებიც იქ დაუხვდათ. ცხვარს ძლიერ მოხდომოდა ჰაერში ფრენა, მაღაზე კარგათ იყო და არხეინათ, ხარბათ სძოვდა ბალახს; იხვი მხიარუ-

\*) იხ. „ჯვეჯილი“ № III.



ლათ ბრძანდებოდა, ბუმბულებს ისწორებდა, მხოლოდ შემცირებული მამალს-კი თავი გასტეხოდა და თქვენი კირი წაეღო.

ასე და ამგვარათ მეფეცა და დიდებულნიც, აგრეთვე მეცნიერების წარმომადგენელნიც, ყველანი დარწმუნდნენ რომ ჰაეროსტატს თავისუფლათ შეუძლიან ჰაერში ფრენა. ისიც ძლიერ უხაროდათ რომ ცხოველებსაც არაფერი ვნება არ მიეცათ. ახლა მხოლოდ ის და ჰერნდათ საცდელი, ადამიანი შესძლებდა თუ არა ჰაეროსტატით მოგზაურობას. მა კითხვამ დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია; სურვილი უეჭველია ბევრს აღეძრა, მაგრამ რა თქმა უნდა ძნელი გასაბედი იყო ბოლოს მოაგონდა ხალხს რომ ორი თავზე ხელ-აღებული ავაზაკი ჰყავდათ დაპატარიმრებული და იმათზე ვცადოთო — „ჯანი და სული გავარდეთ, ქვაზედაც თავი უხლიათ, რაც უნდა მოუვიდეთო“. ამ აზრს წინააღმდეგა და მეცნიერების მოსარჩევთ, გაბედულათ გამოვიტა გამოჩენილი მეცნიერი პილატრ-დე-როზიე. ამან თითონ გამოაცხადა სურვილი ჰაერში აფრენისა.

— როგორ! განა პირველათ ავაზაკებმა უნდა გააკვლიონ გზა ამ სამეცნიერო საქმეში? — ცხარობდა ეს მეცნიერი, — განა პირველათ ავაზაკებმა უნდა დაიმსახურონ უკვდავის სახელი და დიდება! არა და არა, შეუძლებელია რომ ეს ასე მოხდეს...

ყველამ დიდ უგუნურებათ მიიღეს მეცნიერის თავგანწირულობა. თვით მეფე წინააღმდეგი იყო ამ გვარი გატაცებისა. ნათესაობამ და მეგობრებმაც ბევრი უშალეს თავი დაენებებინა ამ სახითათო სურვილისათვის, მაგრამ პილატრ-დე-როზიე თავისას არ იშლიდა. ბოლოს ერთი თანამოაზრეც კი გამოუჩნდა, მარკიზი-დე-არლანდი და 21 გიორგობისთვეს, იმავე 1783 წელს, მეფისა და აუარებელი ხალხის თანადასწრებით, უშველებელმა ჰაეროსტატმა ჰაერში იტაცა ორი თავგანწირული და გულადი კაცი, მეცნიერულის აზრით გატაცებულნი.

ამ შემთხვევის გამო ოქმია შედგენილი, რომელშიაც სწერია

შემდეგი: „ცაში აქა იქ ღრუბლები იყვნენ გაფანტულია ჭავერში ზარბაზანში ამცნო ყველას, რო ჰაეროსტატის ავსება დაიწყო და კიდევ რვა წამის შემდეგ მაშინა მზათ იყო. მარკიზი-დე-არლანდი და ჰილატრ-დე-როზი ჩასხდნენ კალათაში. ჯერ ვიდრე აუშვებდნენ, გამოსცადეს ძალა ჰაეროსტატისა, მაგრამ ქარმა ხელი შეუშალა ამ განზრახვას, კედელს მიახალა და რამდენსამე ადგილას ბურთი დახეული აღმოჩნდა. მთელი ორი საათი მოუნდნენ დაკერებას. მერე ხელით გაავსეს ისევ გაზით და ჰაეროსტატი აუჩქარებლივ, საუცხოოთ ავიდა ჰაერში აღტაცებამ და თან შიშმა მთლათ იქ მყოფთა ხალხის გრძნობა შეიპყრო, როდესაც დაინახეს ჰაერში მოგზაურნი, რომელნიც ზევით ცაში მიფრინავდნენ. რამდენიმე წამიც და ჰაეროსტატი ისე მაღლა ავიდა რომ შიგ მსხდომი აღამიანები სრულებით აღარა სჩანდნენ, ხოლო თვითონ მაშინას კი დიღხანს ხედავდნენ. მოგზაურნი გადაფრინდნენ მდინარე სენას გაღმა და მოისურვეს ძირს ჩამოშვება, მაგრამ დახედეს რომ ქარს მიაქვს ჰაეროსტატი და უნდა სენ-ჟერმენის უბანში სახლებს დააჯახოს. ჰილატრმა საკვირველი გულშვიდობა გამოიჩინა, აუჩქარებლივ აიღო რამდენიმე მუჭა ჩალა და მაყალს დაყარა, რომელიც იქვე ბურთს ჰილთან იყო მომართული. ახალმა გაზმა ბურთი კვლავ ცაში იიტაცა და ქალაქს თავზე გადაუარა, მერე გულდამშვიდებული მოგზაურნი მინდოორში ჩამოეშვნენ სრულებით. მათმა მოგზაურობამ სულ 20 – 25 წამი გასტანა და ამ ხნის განმავლობაში 9 ვერსი გზა გაიარეს. მაშინას გარსი სამოცი ათასი ოთხკუთხი ფუტი ჰქონდა, ხოლო გარდიგარდმო (დიამეტრი) ცხრა საჟენი იყო; მაშინამ ასწია და ჰაერში თავისუფლათ ააფრინა ათას შვიდასი გირვანქა ტვირთი.



მონაცემული  
სალასტრი, გრაფი ვოლრელ-დე-იუნო, ბენიამინ ფრანკლინი.


მონგოლთვები თავის გამოგონილ ჰაეროსტატს (ბურთს), როგორც ვიცით, ჩალის და მატყლის ბოლით ავსებდნენ. მშებს ასე ეგონათ, რო მატყლის და ჩალის ბოლში რაღაც გაზი (ჰაერ-გვარი ნივთიერება) ურევია და იმ გაზის ბრალია რომ ჰაეროსტატი ცაში დაფრინავსო. განთქმულმა ფიზიკოსმა სოსიურმა დიდი ყურადღება მიაქცია იმ ახალ ამბავს, როცა მონგოლთვებმა პირველი ბურთი აუშვეს ჰაერში. ამ მეცნიერმა გამოიკვლია ჩალის და მატყლისაგან წარმომდგარი ბოლი და აღმოაჩინა, რომ ამ ბოლში არავითარი ახალი სხეული არ იძალება, ხოლო გამთბარი ჰაერი შედის ბურთში და რაღგან თბილი ჰაერი ცივ ჰაერზე ბევრათ სუბუქია, ამიტომაც უშველებელი ბურთი გაცხელებული ჰაერით სავსე, სუბუქდება და მიქროლავს ჰაერში იმ დრომდე ვიდრე ბურთში მომწყვდეული ცხელი ჰაერი სრულებით არ გა-ცივდება; ნელ-ნელა გაცივებას რომ იწყებს, ჰაეროსტატიც იმი-ტომ ნელ-ნელა ეშვება, ისევ დაბლა დედამიწაზე ჩამოდის. სო-სიურმა თავის მეცნიურული დასკვნა საქმითაც დაამტკიცა. აილო საცდელათ მონგოლთვები პატარი ბურთი და ლია პირთან გაამაგ-რა გავარვარებული რკინის ნაჭერი—ბურთი წამსვე ჰაერში გაჩნ-და, ავიდა მაღლა, მაღლა და იქამდის იფრინა ვიდრე საშინლათ გახურებულმა რკინის ნაჭერმა განელება არ დაიწყო. რამდენათაც ცხელი რკინა ნელდებოდა, იმდენათ ბურთის ფრენა სუსტდებოდა, როდესაც რკინა სრულებით განელდა ბურთიც მიწაზე დაეშვა.

პროფესორმა შარლმა ხომ ისიც დაამტკიცა რომ მონგოლთვე-ბის გამოგონილი ბოლი ჩვეულებრივ ჰაერზე ოჯახელ სუბუქია, და მაშასალამე ამ თბილ ჰაერს ახალმა გამოგონილმა გაზმა, წყალ-


მბადმა, უნდა უეჭველათ აჯობოს, რადგან წყალმბადი ჰერიტეტიკა  
14-ჯერ უფრო სუბუქია.

ამ მეცნიერულ საბუთებს, პილატრ-დე-როზიეს და მარკიზ-დე-  
არლანდის გაბედულობაც დაემატა და ჰერში ფრენის საქმეს  
(ჰერონავტიკას) სულ რაღაც ორიოდ წელიწადში მტკიცე სა-  
ფუძველი დაედო. საფრანგეთის შვილებმა ახალი დარგი შეიტა-  
ნეს მეცნიერებში, კაცობრიობის საკეთილდღეოთ.

ილიკო.



პირველი ჰეროსტატი მონგოლფების მიერ ჰერში აშვებული.



## პატარა მკითხველების წერილები:

ქ. თფილისი.

საყვარელო რედაქცია!

მე ვიყავი სინემატოგრაფზე; ეს იმისთანა სურათებია, რომ ჩაც ზედ არის დახატული, ყველაფერი მოძრაობს; მაშინა მიდის, გეძი ზღვაზე მიდის, ზღვა დელავს, კაცები თოვლაობენ. ძალიან კარგი სანახავია და გასაკვირველი.

ჯეჯილში მომეწონა „ვანო და ჩიტი“ იმიტომ რომ ვანო კარგი ბიჭი იყო, შეეცოდა პატარა ბეღურა და გაუშვა თავისუფლათ.

თამარა ნიკოლაძე (7 წლის).

ქ. ქუთაისი.

საყვარელო პატარა ჯეჯილის მკითხველები! მე წავიკითხე ჯეჯილი და ძალიან მომეწონა „სიყვარულს რა შეუძლიან“ და „პატარა მეგაზეთე“. მე მყავს კატა და საშინლათ მიყვარს, სახელათ ჰქვიან მაზურკა. ოქვენ კატებს რა ჰქვიანთ? ჩემ დას ჰყავდა ორი იადონი და ერთი გაუფრინდა. ახლა უთუოთ კანარის კუნძულებზე იქნება. მე ძალიან მეცოდება ბურები. მომწერეთ ვის გეცოდებათ.

თამარა ჭიჭინაძე (8 წლის).



ქ. ოშურგეთი.

ძვირფასო რედაქტორო!

მე წავიკითხე ჩვენს საყვარელს „ჯეჯილის“ მე-III № ყველა მოთხრობები, ამბები და ლექსები. ყველა ძალიან კარგია. სხვაზე უფრო მომეწონა ლექსი გ. წერეთლის დაკრძალვაზე, (ეს ლექსი მე ზეპირათ ვისწავლე) „პატარა ზე ფრენა“, „პატარა მეცნიერი“ და „მეღო და ჯიბლიბო“. მე ძალიან მიყვარს ქართული წიგნების კითხვა. გ. წერეთლის „მამიდა ასმათი“ და „რუხვი მგელი“ წაკითხული მაქვს.

„ჯეჯილის“ მკითხველი ანანი სალუქვაძე. (12 წლის).

ქ. თფილისი.

ჩემო საყვარელო და დაუვიწყარო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილში“, მარტის ნომერში ყველა მოთხრობები და ლექსები. მათში არც ერთი არ იყო დასაწუნარი, მაგრამ უფრო-კი მომეწონა „გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე“ „მზრუნავი დედა“ „მოტი გეჯის აჯანყება“ „ფოფოს მასწავლებელი“ და „პატარა მეცნიერნი“. იმედი მაქვს რომ ამისთანა მშვენიერ მოთხრობებს არ მოგვაკლებთ.

თქვენი კეთილის მნდომელი დავით ელიოზაშვილი (12 წლისა).

ქ. თფილისი.

ჩვენო საყვარელო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილში“, მარტის ნომერში, ყველა მოთხრობები და მათში ყველაზე უფრო მომეწონა „მოტი-გეჯის აჯანყება“ და „პატარა მეცნიერნი“. მე ძალიან მიყვარს კარგი მოთხრობების კითხვა.


თქვენი მოსიყვარულე ჯეჯილის მკითხველი არჩილ გულასაშვილი (12 წლისა).

აბაშა.

ბატონი რედაქტორო!

მე და ჩემ ოცდა ერთს ამხანაგს, დიდათ მოგვწონს თითქმის ყველა წერილები ჩვენთან ახალი გაცნობილი თქვენი ჟურნალ „ჯეჯილის“ ორი ახალი ნომრებისა. ღმერთს ვთხოვთ რომ ჩვენს პატარა ამხანაგებსაც მიეცეს ასეთი მოუთმენელი სიყვარული მისი კითხვისა და რომ ის მუდამ ჰქონდეს გამოწერილი ჩვენს წყემის სამრევლო სკოლას.

თქვენი მორჩილი თომა ჯალადენია (10 წლისა).



## ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

აგერ გვესტუმრა კეკლუცი,  
 პატარძალივით მორთული;  
 რა ლამაზია, გულისა!  
 ილხენს ყოველი სულდგმული.  
 ლამაზათ, მწვანე მინდვრებზე,  
 იშვეს ფრინველთა ფერხული,  
 სურთ რომ ბუნების ქორწილსა  
 თვითვე დასძახონ ფერხული,  
 ვიღა შეუშლით ახლა ხელს?  
 ეხსნათ გზა, ზამთრით შეკრული!..

## ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი კ. ფრონის პირელისაგან)

შური ფრინავს ჰაერში, სიკეთე კი მთლათ ერში.  
 (წარმოდ. კოტე სეხნიაშვილისაგან)

ორგულათ კაცი პრეში მცინარი,  
 არს მტერზე დაუძინარი.

ორი პურა ძვირი კაცი ერთმანეთის ბაქვით შიმშილით დარიალისა  
ხოცნენ.

თუ ტყავს მაძრობ— ქონიც თან გაატანეო.

ცეცხლი ისე გააქრე, რომ ბოლი არ აუვიდეს.

### გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მიწაში ჩამფლეს დამმარხეს,  
მთლათ შემილონდა გულია,  
ვერ გავძელ მზეზე გამოველ,  
მომეცა სიხარულია.

დამაწყეს ნაკვერჩხალები.  
დაიქცეს მათი რჯულია!  
უეცრათ წყალში ვიქენი  
შერეულ — ჩამალულია,  
მერე ბნელაში ჩამგზავნეს,  
იქ ცუდი რამ ჯურლმულია;  
იქიდან ზეცას მივმართე,  
ფრენა შემეძლო სრულია;  
ცაში გავწყალდი, ჩემგანა  
მინდორი დანამულია.

(წარმოდგენილი გ. საყვარელიძისაგან)

ორ მთას შუა გაჩქარებით  
ცხენი მირბის ჭიხვინაო,  
ათასი კაცი დაუხვდა,  
ვერვინ ვერ დაიჭირაო.

თეთრ ქვებს უკან ფიცარია,  
არც ლპება და არც ხმებაო;



ଶାନ୍ତିକବିଲୋଦିବା ଶାନ୍ତି କୁ ମହାର୍ଷୀ,  
ଉତ୍ତାତ୍ରିତାନନ୍ଦିତ ଏଣ୍ କୁର୍ବାଦାମ.

### ଶିଳ୍ପି ଗାମୋଦେଶାତମ୍ଭେଲୀ.

(ଶାରମନ୍ଦଗ୍ରେନିଲ୍ଲି ବାର. ଶ୍ରୀମଦ୍ଦିଶାଖାନ)

ତଥା ତ୍ୟତରି ତ୍ୟତରାତ ଗାଵାତଥାତ୍ୟତର୍ଯ୍ୟ

ଅ ନ ଅ ଗ ର ଅ ମ ଅ

(ଶାରମନ୍ଦଗ୍ରେନିଲ୍ଲି ମ. ଲ୍ଲେଲାଶ୍ଵିଲ୍ଲିଶାଖାନ)

କିରାଜ୍ୟରେ ଉପରାଜ୍ୟର ଜନକ୍ଷେପିତ,  
ଶାକରାଜ୍ୟ ଶକାରସ୍ୟାଲ୍‌ପିଲ୍ଲିଶା  
ମେନାରେ ବନାନ୍ତାମତ ରାଧେଶ୍ୟ,  
ଶାକେଲୀ ଫିଲୀ କ୍ଷେତ୍ରିଶା,  
ନାନୀରେ ନନ୍ଦି ଆଶନି  
ଦାନ୍ତରୀରୁ ମନ୍ଦରେନ୍ଦ୍ରିଯିଶା.

### ଶ୍ରୀଶିଳ୍ପି

(ଶାରମନ୍ଦଗ୍ରେନିଲ୍ଲି ବାନି ତ୍ୟତର୍ଯ୍ୟତମ୍ଭେଲ୍ଲିଶାଖାନ)

- 1) ତର୍କାମ୍ଭେତ ଲ୍ଲେର ଶ୍ରୀମତ୍ତୁମିଶାଖାନ ଗାକ୍ୟତ୍ୟତ ଏମ ଗ୍ରାମୀ ପଥିଲ୍ଲି  
(ଶିଳ୍ପି କ୍ଷେତ୍ରରୀତିବାନି)  
ରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀମତ୍ତୁମିଶା ବିଶ୍ୱ,  ଗାମୋଦେଶାତମ୍ଭେଲୀତ ନନ୍ଦି ଲ୍ଲେର  
ରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀମତ୍ତୁମିଶା ବିଶ୍ୱ,  ନନ୍ଦି ମିନିଲ୍ଲିତ ନନ୍ଦି କ୍ଷେତ୍ରି  
ରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀମତ୍ତୁମିଶା ବିଶ୍ୱ, ନନ୍ଦି  ଗାମୋଦେଶାତମ୍ଭେଲୀତ ଶାମି ଲ୍ଲେର  
ରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀମତ୍ତୁମିଶା ବିଶ୍ୱ, ନନ୍ଦି  ମିନିଲ୍ଲିତ ନନ୍ଦି କ୍ଷେତ୍ରି  
ରାଜ୍ୟ.

ବିନ୍ଦୁ ଏମ ଶ୍ରୀଶିଳ୍ପିର ମନ୍ଦରେନ୍ଦ୍ରିୟ ନାନୀରେ ଗାମୋଦେଶାତମ୍ଭେଲୀତ ମିନିଲ୍ଲିତ  
ଶାକରାଜ୍ୟରୀତ ଶାକରାଜ୍ୟ ଶ୍ରୀମନ୍ଦଗ୍ରେନିଲ୍ଲି „ରାମନ୍ଦେଶନିମ୍ବେ ମନ୍ଦରେନ୍ଦ୍ରିୟ“ ତ. ଶ୍ରୀଶିଳ୍ପି-  
ଶାଖାନିମ୍ବେ.

ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧

(ଚିଠିମରଙ୍ଗରେଣୀଙ୍କ ମ. ଲ୍ୟେଲା ଶ୍ଵାଲିଙ୍ଗାଙ୍କ)

ବିରଜେଳି ସିତ୍ୟତା ହ୍ୟେନତା  
ଅବଳା ମନ୍ତ୍ରେତାବିତା;  
ହ୍ୟେନି ମନ୍ତ୍ରବିଲ୍ଲେବିଲ୍ଲ ଅବୁଲି,  
ଘରେକ୍ଷେତ୍ରା ତାନାଗରନିବିତା.  
ମେନର୍ଯ୍ୟ ବାରାବିଲ୍ଲ ହାତ୍ସୁଲିଶ୍ଚ,  
ଗାଗବାରତାବିଲ୍ଲ ଶ୍ରୀରନ୍ତାବିତା,  
ତୁରଫା ମରାବାଲ ତ୍ୱରି,  
ପ୍ରତ୍ୟାମିଲ୍ଲିଲ୍ ମନ୍ତ୍ରବିଲ୍ଲିବିତା.  
ମତଳାତ ମଦିମ୍ବ ବ୍ୟେଲାବାନିଆ,  
ମନ୍ତ୍ରକାମିଲ୍ଲ ଫିଲିତି ଫିଲିବିତା,  
ହାମତାର ହାତ୍ସୁଲିଶ୍ଚ ଫ୍ରାଲିଶ୍ଚ ଫଗୋ,  
ତ୍ୟାଗେବିଲ୍ଲ ତ୍ୱର୍ଯ୍ୟାକା ଲବିବିତା.

ରୂପଶବ୍ଦ





ତାର୍ପିଣ ରା କ  
ଗାସନୀ ୮



ବୁଦ୍ଧି ପାଇଁ  
କୃତିରେ ଗୁ-  
ପାପକାଳରୁ



2016026320  
30350000033

თანხმობის  
გამოცხადე-  
ბა იმერეთ-  
ში

10



**No III „ჯეჯიღისა“**

გამოცენება: 1) ლვის მშობელი, 2) კალამი და მელანი.

ଭୋଗଭୋଗରୀତିଃ ମେଲିବା, ଯେଲିବା, ଲିବା, ବା, ବ.

**არათმეტიგველი ამოცანა:** ათ კოკიანი სავსე ქვევრილან ამოილე  
ორჯელ სამ კოკიანი სავსე არაყით და ჩასცალა შვიდ კოკიანში,  
ამოილე კიდევ მესამეთ სამ კოკიანი და შეამსე შვიდ კოკიანი;  
ისე რომ შვიდ კოკიანი რომ სამსე იქნება, სამიანში იდგება ორი  
და ათიანში ერთი კოკა. შემდეგ აიღე შვიდ კოკიანი და ისევ ათ  
კოკიანში გადაასხი. ცარიელ შვიდ კოკიანში ჩასცალე სამ კოკიანში  
რომ დანარჩენი ორი კოკაა და ათ კოკიანილან კიდევ ერთხელ  
ამოილე სამ კოკიანი სავსე არაყით და მიუმატე შვიდ კოკიანს  
— სამი და ორი გახდება ხუთი და ათიანშია (၃) ხუთი დარჩება.

ମାତ୍ରଃଫା: ପଣ୍ଡିତ.

ლებუსი: ხარბი კაცი პურა ძვირს დასკინოდა.

გამოცანები, დოკუმენტების გამოცანა, შარადა და რე-  
ბუსი ახსნეს თბილისში: სათავად აზნაური სკ. მოსწავლე ირჩილ  
გულისა შვილმა, ქაქუჩა ჩოლაყაშვილმა და ლოგოგრიფი, შარადა  
და რებუსი ღომენტი პაპიძემ. გორში: ევა ბარათიშვილმა; ჭია-  
თურაში: მოსწავლე თეკლე ვაშაძემ კვირილაში ვახუშტი ბარბა-  
ძაძემ; აკეთის ორკლასინა სკოლის მოსწავლეებმა; ირაკ.: გოგუაძემ,  
ივ. გოგუაძემ, ისილორე ქურიძემ და ვალოდი მეგრელიძემ.

# საქმაწევილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯევზილი“

ზოლიზალი გეთართმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგ-  
რამით, როგორათაც აქვთ.

ჟურნალი „ჯევზილი“ მიღებულია თვითისის საე-  
პარტიო და კავკასიის ლუქის სამოსწავლო რჩევებისაგან  
სასწავლებლის სამითხველოებში საკითხებათ.

ჟურნალი „ჯევზილი“ თვითისში დატარებით ღირს  
4 მან. თვითისში გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნო-  
მერი 50 კრ.

სელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-  
ვარ წლით.

სელის მოწერა შეიძლება:

1) თვითისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოე-  
ბის“ განცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор.,  
№ 101), და თვით „ჯევზილი“-ს რედაქციაში (Арти-  
ллер. ул. № 5, възлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала „Лжеджили“.